

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

საქართველოს 2001 წლის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს 2001 წლის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს საფუძვლად დაედოს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების საპროგნოზო პარამეტრები, რომელთა შესაბამისადაც 2001 წლისათვის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 4%-ით, ხოლო წლიური ინფლაცია 6%-ით განისაზღვროს.

2. 2001 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განაგრძოს მომიერად მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გაგარება და ფულის მიწოდება განახორციელოს მხოლოდ არაინფლაციური მეთოდებით, ეკონომიკური ზრდის გათვალისწინებით, ისე, რომ ფართო ფულის მიმოქცევის სიჩქარის საშუალო წლიურმა სიდიდემ 10.2. შეადგინოს. ფულის სათანადო მოცულობით ეკონომიკის უზრუნველყოფა (ფართო ფულის ზრდა) ძირითადად განხორციელდეს ბანკების გარეთ არსებული ნაღდი ფულის საბანკო არხებში მოქცევისა და ფულის მულტიპლიკატორის ზრდის საშუალებით, სარემერვო ფულის 14%-ით ზრდა კი – უპირატესად საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო აქტივების აკუმულირების გზით. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაკრედიტება განხორციელდეს „საქართველოს 2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ფარგლებში, ხოლო კომერციული ბანკების დაკრედიტება – ძირითადად სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით უზრუნველყოფილი მექანიზმებისა (ლომბარდული და რეპოოპერაციები) და საკრედიტო აუქციონის გამოყენებით, ისე, რომ 2001 წლის ბოლოსთვის ბანკების დავალიანებამ 11 მლნ ლარს არ გადააჭარბოს.

3. 2001 წელს სავალუტო პოლიტიკა კვლავ დაეფუძნოს მცურავი კურსის რეჟიმს. ლარის ვაცვლითი კურსი ჩამოყალიბდეს სავალუტო ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების შესაბამისად. საქართველოს ეროვნული ბანკის ინტერვენციები განხორციელდეს მხოლოდ უცხოური ვალუტის მიმართ, მისი მიწოდების მოთხოვნამზე გადაჭარბების შემთხვევაში. არ დაიშვას ეროვნული ვალუტის კურსის მკვეთრი კონიუნქტურული რყევა, ამავე დროს ლარის კურსი მიმართული იყოს საგარეო ბაზარზე ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობისაკენ. 2001 წლის ბოლოსთვის საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვების მოცულობამ შეადგინოს 2 თვის იმპორტის ეკვივალენტი.

4. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა:

ა) საკურსო პოლიტიკის ეფექტიანად წარმართვის მიზნით განაგრძოს სავალუტო ბაზრის ინფრასტრუქტურის სრულყოფა, ხელი შეუწყოს ბანკთაშორისი ელექტრონული სისტემის მეშვეობით უცხოური ვალუტით ვაჭრობის მოცულობის ზრდას, დახვეწოს ვალუტის გადამცვლელი პუნქტების ფუნქციონირების რეჟიმი, მათი საქმიანობის კონტროლისა და აღრიცხვიანობის მექანიზმები;

ბ) საპროცენტო განაკვეთების შემდგომი შემცირებისათვის პირობების შესაქმნელად ხელი შეუწყოს საბანკო სისტემაში კონკურენტული გარემოს გაღრმავებას, უზრუნველყოს ქვეყნის შიგნით დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების დანერგვა, პერიოდულად განიხილოს მინიმალური სარემბერვო მოთხოვნის ნორმის გადასინჯვის მიზანშეწონილობის საკითხი;

გ) განაგრძოს სახაზინო ვალდებულებების საკუთარი პორტფელის ფორმირება, მეორადი ბაზრის განვითარების ხელშეწყობა და ღია ბაზარზე ოპერაციების დამკვიდრებით ფულად-საკრედიტო რეგულირების ახალი მექანიზმების ათვისება;

დ) პრუდენციული ზედამხედველობის სრულყოფის გზით უზრუნველყოს საბანკო სისტემის სტაბილური და მდგრადი ფუნქციონირება;

ე) კომერციული ბანკების საქმიანობის გამჭვირვალობის გამზდის მიზნით უზრუნველყოს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების სრულად ამოქმედება.

5. საქართველოს ეკონომიკაზე გარე ფაქტორების მნიშვნელოვანი ზეგავლენის შემთხვევაში ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა წარიმართოს ლარის გაცვლითი კურსის იმ ნიშნულის მისაღწევად, რომელიც უზრუნველყოფს საგადამხდლო ბალანსის გაუარესების თავიდან აცილებას და ძირითადი მიზნობრივი მაჩვენებლებიდან გადახრის მინიმუმამდე შემცირებას.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე

გურაბ ქვანია.

თბილისი,
2000 წლის 12 დეკემბერი.
N 679 - რს